დამტკიცებულია უნივერსიტეტის

რექტორის 2025 წლის 24 თებერვლის №10895
ბრძანებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის
სიმულაციური ცენტრის უსაფრთხოების წესი

2025

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულება 3

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 3

მუხლი 3. სიმულაციური ცენტრის მიზანი 3

მუხლი 4. უსაფრთხოების ნორმების გაცნობა 3

მუხლი 5. გადაუდებელი მდგომარეობის მართვა 4

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომები 4

მუხლი 7. სიმულაციური ცენტრის აღჭურვილობა 4

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის უსაფრთხოების წესი (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ფარგლებში უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს.
2. წინამდებარე წესი ვრცელდება სიმულაციური ცენტრით მოსარგებლე პერსონალზე და სტუდენტებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა. სტუდენტი - ევროპის უნიერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი;
ბ. შიდა პერსონალი - ლაბორანტები და ცენტრის თანამშრომლები;
გ. გარე პერსონალი - აკადემიური/მოწვეული პერსონალი, გამომცდელები, სიმულიციური პაციენტები.

მუხლი 3. სიმულაციური ცენტრის მიზანი

ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის მიზანია მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებისთვის დარგობრივი უნარების განვითარება და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადება.
სიმულაციური ცენტრის მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა ყველა სტუდენტის, განმახორციელებელი პერსონალისთვის და სხვა ცენტრით მოსარგებლე პირებისთვის.

მუხლი 4. უსაფრთხოების ნორმების გაცნობა

1. სიმულაციური ცენტრის პერსონალი და განმახორციელებლები ვალდებულნი არიან გაეცნონ ყველა საჭირო ინფორმაციას, დოკუმენტაციას სასწავლო პროცესის შესახებ, სიმულაციური ცენტრის პროტოკოლებს/წესებს, უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სიმულაციურ ცენტრში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას და ასევე, პერსონალს გაეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.
2. სტუდენტები, ისევე როგორც გარე პერსონალი (გამომცდელები, სიმულაციური პაციენტები), მიიღებენ ინფორმაციას უსაფრთხოების გაიდლაინის/წესების შესახებ, პირველივე სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობისას.
3. სიმულაციური ცენტრის თანამშრომლებს და გამომცდელებს მოეთხოვებათ პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგის გავლა, ორ წელიწადში ერთხელ. ხოლო ახალი პერსონალი ტრეინინგს გადის დასაქმების მომენტიდანვე.

მუხლი 5. გადაუდებელი მდგომარეობის მართვა

სიმულაციური ცენტრის პერსონალი, განმახორციელებლები და სხვა პერსონალი (გამომცდელი, სიმულაციური პაციენტი) ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ შეატყობინონ სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელს სამსახურში მომხდარი ყველა ინციდენტის, ტრავმისა და დაავადების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში მიმართონ უნივერსიტეტის სამედიცინო პუნქტს, ხოლო პირველადი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში ვალდებულნი არიან, დარეკონ გადაუდებელი დახმარების ნომერზე - 112, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოსაძახებლად.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომები

1. სიმულაციური ცენტრით მოსარგებლე ვალდებულია, დაიცვას უსაფრთხოების სტანდარტული ზომები, შემდეგი მიმართულებით (ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით პოსტერები გამოკრულია სიმულაციურ ცენტრში):

ა) ბასრი ნივთები გამოიყენოს და საჭიროების შემთხვევაში გაადგურის წესების/ნორმების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს ხელების დაბანა სიმულაციურ პაციენტებთან და მანეკენებთან კონტაქტის წინ და შემდეგ;

გ) უზრუნველყოს ხელთათმანების გამოყენება სიმულაციურ პაციენტთან ან მანეკენთან კონტაქტამდე;

დ) უზრუნველყოს ხველის ეტიკეტი ან/და ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები დაავადებების სიფრთხილის ნორმების დაცვა.

2. ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია პიროვნების მიმართ შეუსაბამო ან დამამცირებელი მოპყრობა შეკითხვის, იდეის, შფოთვისა და შეცდომის გამო. სიმულაციური ცენტრის პერსონალს და შესაბამის ფაკულტეტების წარმომადგენლებს მოეთხოვებათ იყვნენ გულისხმიერნი სტუდენტების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა განიცადეს სტრესი სიმულაციური აქტივობის დროს.

მუხლი 7. სიმულაციური ცენტრის აღჭურვილობა

1. სიმულაციური ცენტრის აღჭურვილობა სემესტრის დასაწყისში მოწმდება უსაფრთხოებაზე. ცენტრში განთავსებული აღჭურვილობა ეტიკეტირებულია სპეციალური აღნიშვნით „მხოლოდ სიმულაციისთვის“ და არ გამოიყენება დიაგნოსტიკური მიზნებისთვის.

2. ყველა იმიტირებულ მედიკამენტს აქვს წარწერა: „მხოლოდ სიმულაციისთვის“ „არა ადამიანის გამოყენებისთვის“. სიმულაციურ ცენტრში დაუშვებელია რეალური მედიკამენტების შეტანა ცენტრის თანამშრომლების, პროფესორ-მასწავლებლების, შიდა თუ გარე პერსონალის ან სტუდენტების მიერ.

3. სიმულაციური ცენტრით მოსარგებლე პირებს საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ სწავლება აღჭურვილობის გამოყენებასთან დაკავშირებით.